

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

14 მარტი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: ოლეგი მიქელთაძე

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 მარტის N13 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

2., „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

3., „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

4., ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს:/გელა ჩიკვაიძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს:/გელა ჩიკვაიძე/

6. სხვადასხვა.

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 მარტის N13 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხს დაემატა შემდეგი შინაარსის პუნქტები:

მწვანე ნარგავების დამზადება, დამზადებული მწვანე ნარგავების გადაზიდვა, დამზადებული მწვანე ნარგავების გადამზიდავი პირი, დამზადებული მწვანე ნარგავების მიღება-ჩაბარების დოკუმენტი, გადაზიდვის ადგილი, უფლებამოსილი ორგანო, საშუაშე მერქანი, სამასალე ხე და ნახევრადსამასალე ხე.

მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებს ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის მერია.

კომისიის მხრიდან წარმოდგენილ საკითხზე მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 მარტის N13 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N2/

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

მოხმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ და მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ სიტყვა გამგეობა შეიცვალა მერიით და შესაბამისად სიტყვა გამგებელი შეიცვალა მერით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/ დანართი N3/

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

მოხმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილ დადგენილებაში ცვლილება ეხება ტერმინებს: გამგეობა-მერია; გამგებელი-მერი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N4/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილ საკითხში ცვლილება ითვალისწინებს ტერმინებს: გამგეობა -მერია; გამგებელი-მერი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილების დანართში ცვლილებების შეტანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N5/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

თანხმობა მიეცეს და ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტი.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N6/

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

მეექვსე საკითხად სხვადასხვაში კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო, რომ კომისიის რიგითი სხდომა გაიმართება ყოველი თვის მე - კვირის ორშაბათ დღეს, ხოლო თუ დასვენება იქნება ამ დღეს სხდომა გაიმართება მომდევნო სამუშაო დღეს.

გადაწყვეტის

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე - 8
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე